5 ოქტომბერი
ხუთშაბათი, 1961 წ.
№ 157 (1793)
გამოცემის მე-18 წელი.
ფასი 3 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## დაუსწრებელი ბრძოლა კორეელთან

800 მეტრზე რბენა ქალთათვის დიდი ხანი არაა, რაც „დიდ ოლიმპიურ სარბიელზე“ გამოვიდა. ქალთა ეს სტაიერული დისტანცია ყოველთვის საბჭოთა მორბენლების ჰეგემონიის ასპარეზს წარმოადგენდა და უმაღლესი საერთაშორისო შედეგებიც უცვლელად ჩვენს მორბენლებს ეკუთვნოდათ.

ამიტომ უკრაინელი მძლეოსნის ლ. ლისენკოს პირველი გამარჯვებები დასაწყისში სენსაციათა სფეროს მიეკუთვნებოდა, მაგრამ შემდგომში მოხდა ძალთა კანონიერი გადაფასება და მსოფლიო რეკორდების პირველ სვეტში მტკიცედ დამკვიდრდა ნ. შევცოვა-ლისენკოს უმაღლესი შედეგი — 2.04,3, მაგრამ ეს მაჩვენებელი დაფარა კორეელმა მორბენალმა ქალმა სინ კიმ დანმა (2.01,2), თუმცა ეს დრო არ იქნა ფიქსირებული მსოფლიო რეკორდად იმის გამო, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა არაა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

მას შემდეგ ლ. შევცოვა-ლისენკო, რომელსაც სადღეისოდ ეკუთვნის ოფიციალური მსოფლიო რეკორდი, აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონის წოდება, ებრძვის ამ არაოფიციალურ, მაგრამ მაინც უმაღლეს შედეგს — სინ კიმ დანის 2 წუთსა და 01,2 წამს.

გუშინდელ რბენაშიც უკონკურენტო იყო ლ. შევცოვა-ლისენკო. მან თავიდან ხელთ აიღო ლიდერობა და გაიმარჯვა, თუმცა მისი შედეგი — 2,05,6 არ შეიძლება სპორტსმენის დიდ აქტივს მიეკუთვნოს. მეორე ადგილი დაიკავა მოსკოვის გუნდის წევრმა ვ. ბუხანცევამ — 2.06,1, ხოლო მესამე — თ. დმიტრიევამ (მოსკოვი) — 2.07,7.

✦



სურათზე: 20 კილომეტრზე სწორტული სიარულის მონაწილენი ტოვებენ სტადიონს.

# დიდი შეჯიბრება გრძელდება

## ა. მიხაილოვი — პირველი

ისინი დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს დაუსწრებლად: ამერიკელი ჰ. ჯონსი და ჩვენი ქვეყნის უძლიერესი თარჯმრბენი 110 მეტრზე ა. მიხაილოვი. პირველი ორი წლით უმცროსი იყო თავის მეტოქეზე, სამაგიეროდ მეორეს ორი წლით უკეთესი გამოცდილება ჰქონდა. და მოხდა ისე, რომ ამერიკელმა დისტანცია 13,6 წამში დაფარა.

ა. მიხაილოვის მაჩვენებელი 0,1 წამით უარესი იყო, ვიდრე ამერიკელისა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დასწრებულ ბრძოლაში, ამ ორ სპორტსმენს შორის უნდა გადაწყვეტილიყო „დავა უმაღლეს დონეზე“. მიმდინარე წლის აგვისტოში მსოფლიომ ბოლოსდაბოლოს მიიღო პასუხი კითხვაზე: „ვინ არის თარჯმრბენი № 1 ჩვენს პლანეტაზე“. საბჭოთა კავშირ-აშშ-ს მძლეოსანთა მატჩზე ჰ. ჯონსმა მოიგო დისტანცია 13,8 წამში.

მას შემდეგ ორი თვე გავიდა და ა. მიხაილოვმა თბილისში ხელახლა წამოიწყო დაუსწრებელი დუელი ამერიკელთან. ამჯერად ეს საინტერესო ბრძოლა საბჭოთა მძლეოსნის სასარგებლოდ გადაწყდა, რადგან მან ფინალურ გარბენში ჩვენი ქვეყნის ექვს უძლიერეს თარჯმრბენთან ბრძოლაში გააუმჯობესა ამერიკელის შედეგი — 13,7. მოსკოველი ვ. ჩისტიაკოვი ტრადიციულ, მეორე ადგილზე გამოვიდა.



★

ამ სპორტსმენმა კარგახანია მსოფლიოს გააცნო თავი, როგორც სიგრძეზე საუკეთესო მხტომელმა. თავისი უძლეველობა თბილისშიც დაამტკიცა. მან არა მარტო ოქროს მედალი მოიპოვა, არამედ ორჯერ გადალახა მსოფლიო რეკორდის ზღვარიც — 6.48 მ, მაგრამ ორჯერივე საქმეში ჩაერია ზურგქარი. წესების თანახმად, თუ ქარის სისწრაფე აღემატება წამში 2 მეტრს, რეკორდი სიგრძეზე ხტომაში არ დამტკიცდება. ამ დღეს კი „ბურევესტნიკის“ სტადიონზე ქარი „მძვინვარებდა“. მისი სისწრაფე 3 მეტრს აღწევდა. სპორტში ხდება ყველაფერი, ეს იცის ტ. შჩელკანოვამაც და იგი პირველი ადგილის მოპოვებითაც კმაყოფილია.

• • •

სურათზე: ტ. შჩელკანოვა ასრულებს ხტომას.
ფოტო მ. ზარგარიანისა.

★

✦

## სეზონის საუკეთესო შედეგი

როცა ბირთვის მკვრელ ვაჟთა ფინალური შეჯიბრება დამთავრდა, დიქტორმა გამოაცხადა ვ. ლიპსნისის (ლენინგრადი I) გამარჯვება— 18.20 მ. ეს შედეგი საუკეთესოა მიმდინარე სეზონში საბჭოთა კავშირში. გამარჯვება შემთხვევით არ მოსულა. საკვალიფიკაციო შეჯიბრების დამთავრების შემდეგ თორმეტ ფინალისტს სათავეში ჩაუდგა მოსკოველი ნ. კარასევი—17 მ 48 სმ. ამასთან იგი ერთადერთი იყო, რომელმაც გადალახა 17 მეტრი. რაც შეეხება ლიპსნისს, იგი თავისი შედეგით მეორე იყო და 51 სანტიმეტრით აგებდა ლიდერთან.

როგორც ჩანს, სხვაობა საკმარისია, მაგრამ ამას არ შეუშინებია ლენინგრადელი სპორტსმენი, რომელმაც სწორედ ფინალურ შეჯიბრებაზე გამოიყენა ყველა თავისი შესაძლებლობა და არავის გაატანა ოქროს მედალი. კარასევი წარუმატებლად გამოვიდა ფინალში და გამარჯვების ყველაზე რეალური პრეტენდენტი პრიზიორთა შორისაც ვერ მოხვდა.

ლიტველებმა ამ დღეს კიდევ ერთი პრიზი მოიპოვეს, როცა ა. ბარანაუსკასმა დაიკავა მეორე ადგილი— 17.71 მ და 5 სმ-ით გაასწრო ლენინგრადელ ბ. გეორგიევს.

რაც შეეხება ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ოთხიდან სამმა „0“ მიიღო და ჩათვლაში ვერ შევიდნენ, რადგან ვერ მიაღწიეს 15 მეტრს. განსაკუთრებით დასანანია მ. ოყროშიძის წარუმატებლობა, რომელსაც მხოლოდ 6 სმ დააკლდა ჩასათვლელი ნორმატივის შესრულებას. მისი შედეგია 14.94 მ. ვ. ბლიაძემ აჩვენა 15 მ 78 სმ.

✦

## რეკორდსმენი დაკმაყოფილდა მესამე ადგილით

28 მონაწილემ მოიყარა თავი ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში. მათ შორის უმეტესობა ოსტატები იყვნენ, რომლებსაც ხტომის სხვადასხვა სტილი ახასიათებთ და ამდენად ეს იყო სტილის შეჯიბრებაც. უკვე წინასწარმა ხტომებმა ცხადყვეს, რომ სპორტსმენები არ იყვნენ „სათანადო ფორმაში“. ფაქტებისათვის შორს წასვლა როდია საჭირო — მხოლოდ 7 ოსტატის შედეგი ნათლად მეტყველებს ამის შესახებ.

მაგრამ ოსტატთა შორისაც გამოირჩეოდა რამდენიმე — საკავშირო რეკორდსმენი ტ. ჩენჩიკი, ექსრეკორდსმენი გ. დოლია (ორივე რსფსრ), ვ. ბალოდი (უზბეკეთი) და გ. ევსიუკოვა (რსფსრ). ამრიგად უზბეკეთის გუნდის წევრს 168 სმ-ზე ფაქტიურად რსფსრ-ს გუნდის წევრებთან უხდებოდა ბრძოლა ჩემპიონობისათვის და მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ბრწყინვალედ გადაჭრა ამოცანა. ამ სიმაღლიდან ბრძოლას გამოაკლდა დოლია, შემდეგ 171 სმ-დან ასპარეზს ჩამოშორდა ჩენჩიკი და თამასის კიდევ 3 სანტიმეტრით აწევის შემდეგ ევსიუკოვაც.

მეორე ცდაზე გადალახა ბალოდიმ 174 სმ სიმაღლე და აჩვენა სეზონის საუკეთესო შედეგი საბჭოთა კავშირში. წარუმატებლად დამთავრდა მისი იერიში ახალი საკავშირო რეკორდის (179 სმ) დასამყარებლად.

✦

## ვ. არხიპჩუკი უგებს ვ. რახმანოვს

როდესაც ლაპარაკია 400 მეტრზე რბენაში გამარჯვების პრეტენდენტებზე, პირველ რიგში ორ სპორტსმენს ასახელებენ: ვ. არხიპჩუკი თუ ვ. რახმანოვი?

ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსნებთან შეხვედრაში ვ. რახმანოვმა დაჩაგრა თავისი მუდმივი კონკურენტი. მართალია, მან წააგო ბრძოლა ორივე ამერიკელთან — ი. უილიამსთან (46,7) და ა. პლამერთან (46,9), მაგრამ მათ დიდად არ ჩამორჩა. რახმანოვმა თავისი 47,0 წამით დაამტკიცა, რომ წარმატებით შეუძლია ბრძოლა „უძლეველ ამერიკელებთან“.

რახმანოვის გამარჯვება ამჯერადაც კანონზომიერი იქნებოდა, მისთვის ხელი რომ არ „შეეშალა“ ამ დისტანციაზე გამარჯვების მუდმივ პრეტენდენტს ვ. არხიპჩუკს. თბილისის საკავშირო ჩემპიონატამდე იყო ასეთი შეფარდება: რახმანოვი-არხიპჩუკი, ამჯერად მათ ადგილები შეიცვალეს იმ განსხვავებით, რომ არხიპჩუკსა და რახმანოვს შორის ჩადგა მოსკოვის I გუნდის წარმომადგენელი ახალგაზრდა ე. არაქელიანი. ამ სამმა გამარჯვე-

(გაგრძელება მე-4 გვ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მატჩები ფინალში

მიმდინარეობს ფეხბურთში საქართველოს პირველობის ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალური გათამაშება. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები.

### პირველი ქვეჯგუფი

ადგილ. მრეწვ. სამმართ. (თბილისი)-„შირაქი" (წითელწყარო) — 1:1, „განთიადი" (კასპი)-„ქსანი" (ლენინგორი) — 6:1, „კახეთი" (გურჯაანი)-„აბული" (ახალქალაქი) — 2:1, ავტოსარ. კანტ. (გუდაუთა)-„მეტალურგი" (ზესტაფონი) — 1:5.

„შირაქი" (წითელწყარო)-„მეტალურგი" (ზესტაფონი) — 0:1, „ქსანი" (ლენინგორი)-ადგილ. მრეწვ. სამმართ. (თბილისი) — 1:8, „აბული" (ახალქალაქი)-„განთიადი" (კასპი) — 2:3.

ადგილ. მრეწ. სამმართ. (თბილისი)-„აბული" (ახალქალაქი) — 5:1, ავტოსარემ. კანტ. (გუდაუთა)-„შირაქი" (წითელწყარო) — 6:2.

„ქსანი" (ლენინგორი)-„შირაქი" (წითელწყარო) — 2:2, „აბული" (ახალქალაქი)-„მეტალურგი" (ზესტაფონი) — 2:1, „კახეთი" (გურჯაანი)-ავტოსარემ. კანტ. (გუდაუთა) — 3:1.

### მეორე ქვეჯგუფი

ჩაის საბჭ. მეურნ. (ოჩხამური)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 3:1, „სპარტაკი" (ცხაკაია)-ორთქ. ვაგ. შემკ. ქ-ნა (თბილისი) — 2:1, „ტორპედო" (გაგრა)-გამამდიდრებელი ფ-კა (ტყვარჩელი) — 4:0, „განთიადი" (ზუგდიდი)-სახ. სამ. ინსტ. (თბილისი) — 1:3.

ლენინის სახ. შახტი (ტყიბული)-სახ. სამ.. ინსტ. (თბილისი) — 1:1, ორთქ. ვაგ. შემკ. ქ-ნა (თბილისი)-ჩაის საბჭ. მეურ. (ოჩხამური) — 2:1, გამამდიდრებელი ფ-კა (ტყვარჩელი)-„სპარტაკი" (ცხაკაია) — 6:1, „განთიადი" (ლანჩხუთი)-„ტორპედო" (გაგრა) — 1:1.

სახ. სამ. ინსტ. (თბილისი)-ორთქ. ვაგ. შემკ. ქ-ნა (თბილისი) — 4:0, ჩაის საბჭ. მეურნ. (ოჩხამური)-გამამდიდრებელი ფ-კა (ტყვარჩელი) — 2:3, „სპარტაკი" (ცხაკაია)-„განთიადი" (ლანჩხუთი)- — 1:3, „განთიადი" (ზუგდიდი)-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 1:0.

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 3 ოქტომბრისათვის

### პირველი ჯგუფი

პირველი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სიხარული" მახარაძე | 26 | 17 | 5 | 4 | 65:27 | 39 |
| „მეშახტე" ტყიბული | 26 | 17 | 5 | 4 | 63:25 | 39 |
| „იმერეთი" ქუთაისი | 26 | 15 | 8 | 3 | 61:31 | 38 |
| სკა თბილისი | 25 | 13 | 6 | 6 | 47:23 | 32 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 22 | 11 | 6 | 5 | 43:28 | 28 |
| „შუქურა" ქობულეთი | 25 | 10 | 7 | 8 | 50:39 | 27 |
| „განთიადი" ბათუმი | 25 | 11 | 5 | 9 | 41:45 | 27 |
| „მალაროელი" ჭიათურა | 26 | 10 | 6 | 10 | 44:43 | 26 |
| „კოლხიდა" ხობი | 26 | 8 | 8 | 10 | 48:40 | 24 |
| „ბახმარო" ჩოხატაური | 26 | 9 | 4 | 13 | 36:66 | 22 |
| „კოლმეურნე" თელავი | 26 | 6 | 7 | 13 | 44:80 | 19 |
| „მექანიზატორი" ადიგენი | 26 | 4 | 4 | 18 | 30:41 | 12 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 26 | 4 | 4 | 18 | 29:77 | 12 |
| „დინამო" ხოხუმი | 25 | 3 | 5 | 17 | 23:56 | 11 |

მეორე ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „გურია" ლანჩხუთი | 26 | 20 | 1 | 5 | 73:36 | 41 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 26 | 14 | 7 | 5 | 46:28 | 35 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 26 | 15 | 4 | 7 | 50:28 | 34 |
| „მესხეთი" ახალციხე | 26 | 14 | 5 | 7 | 56:30 | 35 |
| „სპარტაკი" სტალინირი | 26 | 15 | 6 | 9 | 32:33 | 28 |
| „მეზღვაური" ფოთი | 26 | 11 | 6 | 9 | 32:33 | 28 |
| „ფეიქარი" წულუკიძე | 26 | 11 | 5 | 10 | 46:49 | 27 |
| „განთიადი" ცხაკაია | 26 | 12 | 3 | 11 | 42:49 | 27 |
| „სპარტაკი" თბილისი | 26 | 9 | 6 | 11 | 29:40 | 24 |
| „მშენებელი" ქუთაისი | 26 | 7 | 7 | 12 | 33:39 | 21 |
| „დურუჯი" ყვარელი | 26 | 7 | 5 | 14 | 28:56 | 19 |
| „დილა" გორი | 26 | 7 | 4 | 15 | 38:46 | 18 |
| „ისანი" თბილისი | 26 | 6 | 5 | 15 | 30:49 | 17 |
| „სპარტაკი" რუსთავი | 26 | 1 | 5 | 20 | 22:54 | 7 |

### ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალი

პირველი ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 7 | 7 | 0 | 0 | 16:6 | 14 |
| ადგ. მრეწ. სამ. თბილისი | 6 | 4 | 1 | 1 | 24:7 | 9 |
| „კახეთი" გურჯაანი | 4 | 3 | 0 | 1 | 11:3 | 6 |
| „განთიადი" კასპი | 5 | 2 | 1 | 2 | 13:11 | 5 |
| „შირაქი" წითელწყარო | 5 | 0 | 3 | 2 | 7:12 | 3 |
| ა. ს. კ. გუდაუთა | 5 | 1 | 1 | 3 | 9:17 | 3 |
| „აბული" ახალქალაქი | 5 | 0 | 1 | 4 | 7:14 | 1 |
| „ქსანი" ლენინგორი | 5 | 0 | 1 | 4 | 4:21 | 1 |

მეორე ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სახ. სამ. ინსტ. თბილისი | 7 | 4 | 2 | 1 | 24:4 | 10 |
| „განთიადი" ლანჩხუთი | 5 | 4 | 1 | 0 | 8:3 | 9 |
| „ტორპედო" გაგრა | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 8 |
| გამამდიდრებელი ფ-კა ტყვარჩელი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| ორთქლ. ვაგონ. შემკ. ქარხ. თბილისი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:9 | 4 |
| „განთიადი" ზუგდიდი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 4 |
| „სპარტაკი" ცხაკაია | 6 | 2 | 0 | 4 | 4:15 | 4 |
| ლენინის სახ. შახტი ტყიბული | 6 | 1 | 1 | 4 | 2:11 | 3 |
| ჩაის ს-მ ოჩხამური | 6 | 1 | 1 | 4 | 8:18 | 3 |




ცენტრალური კავკასიონის იმ ნაწილში, სადაც მრისხანე უშბაა აღმართული, თავმოყრილია რთული და ძნელად გასავლელი მწვერვალები და ქედები: თვით უშბა, შხელდის შვიდი მწვერვალისაგან შემდგარი კლდოვანი მასივი, რომელსაც უშბის პლატოდან ხერხივით დაკბილული ქედი ელობება, მაზერის გრძელი ქედი დაშლილი და დანაწევრებული მწვერვალებით. ეს სამი მასივი ერთი მეორეზეა გადაბმული რკალისებურად, ამ რკალში ჩაწოლილია უშბისა და შხელდის მყინვარები.

ამ უკანასკნელ წლებში რამდენიმეჯერ იქნა გათვალისწინებული ამ მასივის ტრავერსის განხორციელება საკონკურსო ღონისძიებათა სიებში, მაგრამ დაწყებული საქმე დღემდე ვერ იქნა მიყვანილი ბოლომდე. წელს საქართველოს მთასვლელთაგან ორი ძირითადი ჯგუფი შედგა. ერთი ჯგუფი გაემგზავრა ტიანშანში, მწვერვალ პობედას დასაპყრობად, ხოლო მეორემ (სატრავერსო და საკედლო) გეზი აიღო კავკასიონისაკენ.

კავკასიონის ჯგუფს სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ალპური კლუბის დირექტორი ა. ივანიშვილი. ამ ჯგუფს ორი ღონისძიების განხორციელება ჰქონდა განზრახული: 6 კაცს უნდა განეხორციელებინა მაზერი-უშბა-შხელდის ტრავერსი, მეორე ჯგუფს 6 კაცის შემადგენლობით უნდა მოეხდინა სამხრეთის კედლით ასვლა მწვერვალ ჩათინზე. მოტრავერსე ჯგუფში შედიოდა სპორტის ოსტატი, მოიერიშე ჯგუფის უფროსი დ. ობოლაძე, გ. ჯაფარიძე (მოიერიშე ჯგუფის უფროსის მოადგილე), სპორტის ოსტატი გ. დევიძე, პირველთანრიგოსნები: ვ. გაბელაშვილი, ვ. კვაჭაძე და ი. ბერუაშვილი, ჩათინის სამხრეთის კედლით ასვლა მინდობილი ჰქონდა სპორტის ოსტატს შ. მირიანაშვილს (ხელმძღვანელი) და პირველთანრიგოსნებს: ს. ხაბეიშვილს, ვ. თევდორაშვილს, ი. ყავლაშვილს, ო. მანაგაძეს და გ. ბერძენიშვილს.

1961 წლის 19 ივლისს ალპური კლუბიდან გასულმა მანქანამ კურსი ზუგდიდისაკენ აიღო და უშხვანარში მცხოვრებ სტუმართმოყვარე მაკრინე ქურდიანის სახლის წინ გაჩერდა. მოვამზადეთ ტრასა, საჭურველი, ავიტანეთ პროდუქტები უშბის 400-მეტრიანი კულუარის ძირში, უშბის პლატოსა და არისტოვის პიკზე, მოვაწყეთ სათვალთვალო პუნქტები.

1-2 აგვისტოს უშბისა და შხელდის მყინვარების შეერთების ადგილზე ამოვიდნენ ჩვენი მეთვალყურეები: შ. დადეშქელიანი, ბ. კვიციანი და ექსპედიციის უფროსი ა. ივანიშვილი. 3 აგვისტოს გამოვეთხოვეთ მეთვალყურეებს, ექსპედიციის უფროსთან შევთანხმდით ვადებსა და ნიშნებზე და ექვსსაათიანი სვლის შემდეგ მოტრავერსე ჯგუფი მაზერის ქედის ჩრდილოდასავლეთის თხემზე გავიდა. აქ დავბანაკდით იერიშის დასაწყებად.

4, 5, 6 აგვისტოს მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა, მივიკვლევდით გზას ქარსა და თოვლში, გადავლახეთ მაზერის კოშკურები.

7 აგვისტოს მასივი ახალი თოვლით დაიფარა. მართალია, დილით გამოიდარა, მაგრამ მაინც შეუძლებელი გახდა სიარული თოვლის ჩამოდნობამდე. თოვლის დნობას კი ქვების ცვენა მოჰყვა. იძულებული ვიყავით კლდეების გამოშრობისათვის დაგვეცადა.

11 საათზე დავიწყეთ ქედის გასწვრივი მოძრაობა. დიდი ქვების ცვენის გამო თოკით ჩაბმულები ცალ-ცალკე გადავდივართ. გადმოხურულ კლდეებს ვაფარებთ თავს, ხშირად გაისმის მოწყვეტილი ქვების გრუხუნი. 19 საათზე, როგორც იქნა, საბანაკო ადგილი მოვძებნეთ. ძლიერი ქარის გამო კარვის დადგმა გაგვიჭირდა. შემდეგ თოვლში ქვაბულის გამოჭრა ვცადეთ, მაგრამ ამაოდ — ყინულს წავაწყდით. ღამის 12 საათზე კარავი დავდგით.

8 აგვისტო. კარგი ამინდი გამოვიდა. მაღალ გუშაგებს ჩრდილოეთიდან შემოვუარეთ, შემდეგ სამხრეთიდან ვცადეთ კედლებს შორის გასვლა, მაგრამ გაშლილი კლდეები გაუვალი იყო. ამიტომ თოვლის კულუარით ქვევით დავეშვით. ჩვენს წინ აღიმართა უშბის ოთხასმეტრიანი თოვლიანი კულუარი. მისი გავლა სახიფათო იყო — კედლებიდან განუწყვეტლივ ცვიოდა ქვა.

9 აგვისტო. დილით მივადექით სახიფათო კულუარს. სიგანე 10 მეტრს უდრიდა. ქვათა ცვენა ძლიერდებოდა, როგორც იქნა, ამ ჯურღმულიდან გავძვერით და მაზერის უკანასკნელ გუშაგს თავზე მოვექეცით. წინსვლა აქაც სახიფათოა და იძულებული ვართ ღამე კბილვის უკანასკნელ წვერზე გ... თიოთ.

10 აგვისტო. მზიანი დარი გვიდგა უშბის იერიშისათვის. წრაფოდ ვიცვამთ. ნელა მივიწ... ვუახლოვდებით უშბის 200-მე... ან ვერტიკალურ კლდეებს, რომ... თა ბოლოზე მოჩანს საბანაკო... გილი „წითელი კუთხე". ფერდ... ზე ყინული დნება, სკდება... წვრილ ნაწილებად ცვივა ჩ... სკენ, სახესა და ხელებს... კაწრავს. აი „წითელი კუთხ... კარვები გავშალეთ და დავი... ნეთ.

11 აგვისტო. 200-მეტრ... კლდის ძირში ვართ (ეს ის კედე... რომელმაც საქვეყნოდ სახელი... უთქვა უშბას). ვალერისათვის ც... ბილია ეს კედელი. იგი 1959 წ... ავიდა ამ გზით უშბაზე. ვიხს... ზურგჩანთებსა და ვალერი... დის წინ, გვესმის ჩაქუჩის ხ... ჩაასო ერთი, ორი, სამი, ოთხი.

თოკი თანდათან გვიმოკლდ... ხელში და გვესმის ვალერის ... ხილიც. გავედი! თოკი მზადაა, ... ის გოგი, იასონი, ვახტანგი, ააქ... ზურგჩანთები და 7 საათზე ყ... ლანი თავს ვიყრით 200-მეტრ... ან კედლის თავზე. ღამეში მო... ძებნეთ ძველი ნაბინავარი, რომ... ლიც სქელი ყინულით იყო დაფ... რული, სამი საათის განმავლობ... ში ვჩეხავდით ყინულს, ერთი კა... ვის ადგილი გავასწორეთ და ... ვსმა კაცმა ღამე მუხლგაუშლელ... გავათენეთ.

12 აგვისტო. კედლებით გად... დივართ სამხრეთ მწვერვალზე. ... ინდი ისევ ხელს გვიწყობს. ჯ... მცირე თხემით ვეშვებით უნაგირ... საკენ. 45-მეტრიან თოკს ვუშვებ... გოგი ეშვება. მივყვები მას. მა... ჯვენა ხელი კლდის ლოდს შე... ხე, ლოდი ნელა დაიძრა, მოვ... წარი უკან დახევა. მასზე თოკი ... დავჭტარე. ქვა მოწყვეტით ქვევ... დაეშვა, თოკის ბოლოს დაეცა, ... ლო მოჰკვეთა და უფსკრულში ... ინთქა. ხიფათი ავიცილეთ. ძალ... ნელა ვმოძრაობთ. სამხრეთ უშბ... ჩრდილო თხემზე თოკებით მი... მაგრეთ კარავი...

13 აგვისტო. უნაგირა მთლ...



დ. ობოლაძე  გ. ჯაფარიძე  გ. დევიძე  ვ. გაბელაშვილი




ნად თოვლის კარნიზებით არის გადახურული. დიდი სიფრთხილით გადავიარეთ და ჩრდილო უშბის სამხრეთის ფერდობზე რამდენიმე საკარვე ადგილი ვნახეთ. წყალიც ბლომად არის. მცირე შესვენების შემდეგ მწვერვალს აღმოსავლეთისაკენ შემოვუარეთ კლდეებით და თოვაც დაიწყო. მწვერვალზე შეჩერება აღარ შეიძლება. საჭირო იყო, რაც შეიძლება სწრაფად დავშვებულიყავით ქვევით და საკარვე ადგილი გვეპოვნა, მაგრამ ასეთი ადგილი თოვლიანობისა და დახერგილი რელიეფის გამო არ აღმოჩნდა. ნისლიც ჩამოწვა. პალოების დახმარებით ქვევით ვეშვებით. მივაღწიეთ ქედის დასასრულს, რომელიც შემდეგ მკვეთრად ეშვება უშბის ბალიშისაკენ. ისევ ყინულის ჩეხვა, ისევ ერთი კარავი და უძილო ღამე.

მთელი ღამე ქროდა სასტიკი ქარი და კარვის კალთებს თავში გვირტყამდა. მთელ ღამეს პავლე ყინულს აღნობდა და წყალს გვასმევდა, ხან გოგის და ხან მე ძალას გვატანდა, რათა რაიმე გვეამბნა. ვყვებით ერთსა და იმავეს რამდენიმეჯერ. თუ შეგვეშლებოდა, მეორე გვისწორებდა. უკვე მეათე დღეა, რაც 4.000 მეტრზე ზევით ვათევთ ღამეს.

14 აგვისტო მზიანი გათენდა. დავიწყეთ დაშვება უშბის პლატოსაკენ. ჩვენს ქვევით მოჩანს ეგრეთწოდებული „ნასტენკოს" კლდეები, ქვევით კი — უშბის ბალიში. აქვე შევნიშნეთ, რომ ჩათინისა და შუროვსკის მწვერვალებიდან ვიღაც მთამსვლელები ეშვებიან. თერთმეტჯერ გავჭიმეთ 45-მეტრიანი თოკი, თერთმეტი ყინულის პალო ჩავარჭეთ და „ნასტენკოს" კედლებზე გავედით. ამავე დროს „ბალიშზე" ხუთი კაცი ამოვიდა და კარვის ადგილის მოსწორება დაიწყო. „ნასტენკოს" კედლებიდან ბალიშზე თოკით სწრაფად დავეშვით და მთამსვლელებს მივესალმეთ. 4 ფრანგი მთამსვლელი და ერთი რუსი გამყოლი აღმოჩნდნენ. ისინი მეორე დღისათვის უშბის ჩრდილო მწვერვალზე აპირებდნენ ასვლას. დიდხანს ვისაუბრეთ და უშბის პლატოზე დავეშვით. ამ დროს ჩათინის მწვერვალიდან დაეშვნენ ჩვენი მეთვალყურეები — შამილი და ბაგრატი. საღამოს 6 საათზე უშბის პლატოს საბანაკო ადგილას ვიყავით და ერთმანეთს მეორე ეტაპის დამთავრებას ვულოცავდით.

15 აგვისტო. შხელდის მასივისათვის განკუთვნილ პლატოზე დატოვებული პროდუქტები ურთიერთ შორის გავინაწილეთ და შევუდექით პირადი საჭურვლის წესრიგში მოყვანას. დღის ორ საათზე ჩათინის მწვერვალზე ხუთი კაცი შევნიშნეთ, რომლებიც უშბის



პლატოსაკენ ეშვებოდნენ. გამოვარკვიეთ, რომ იგი მეორე ჯგუფი იყო, რომელმაც ჩათინის კედელი დაძლია. ერთი საათის შემდეგ ორივე ჯგუფმა თავი მოვიყარეთ. საღამოს მეთვალყურენი და ჩათინის ჯგუფი „მწვანე სასტუმროსაკენ" დაეშვნენ, ჩვენ კი იერიში განვაგრძეთ.

16 აგვისტო. დილა ადრიანად 40-მეტრიანი თოვლიანი კულუარით გავსწიეთ კლდოვან თაროზე, შემოვუარეთ მარჯვნიდან თხემს და მივადექით ქედს. პირველ გუშაგზე შევნიშნეთ ნიშანი, წინ წასული გოგი გვაცნობებს, რომ მასზე ჩემს მიერ 1952 წელს დატოვებული წერილი დღესაც ხელუხლებელია. მივყვებით ხერხის კბილებს.

17 აგვისტო. გუშაგიდან ვეშვებით 10-მეტრიანი კედლით და გადავდივართ თოვლიან კულუარში. უშბის მყინვარზე მთამსვლელთა ექვსეული დავინახეთ, გავძახეთ ხმამაღლა, ძახილი გაიგონეს, მაგრამ ვერ გვხედავენ, ქართულად გვიპასუხეს. შემდეგ გავიგეთ, რომ გურამ თიკანაძის უშბის მოტრავერსე ჯგუფი ეშვებოდა „მწვანე სასტუმროსაკენ". სიფრთხილით შევყევით თოვლიან კულუარს. შხელდის ცნობილი პირველი გუშაგის წინა კედელთან გავედით. „მწვანე ბანაკში" ნიშანი მივეცით მეთვალყურეებს და კარვებში მივლაგდით.

18 აგვისტო. ვეშვებით აღმოსავლეთ შხელდის კულუარში. ჩვენს წინ დგას აღმოსავლეთ შხელდის ვერტიკალური კედელი. წინ მივიწევთ. თვითეული პატარა მონაკვეთის გავლას დიდი დრო ჭირდება. გავედით ქედზე, ქედს თითქმის გადამჯდარი მივყვებით. მთელი ღამე ქარი ქროდა.

19 აგვისტო. გავდივართ თხემის წინა გასავალში, რომელიც ჩრდილოეთში გასახედ სარკმელს წარმოადგენს. კლდეებში პალოს ვაჭედებთ, ორფად დაშვებული თოკით ვიწრო ბაქანზე ვდგებით. კიდევ ორჯერ გაიჭიმა თოკი. საჭირო ხდება მესამედ დავეშვათ 30 მეტრზე. გავედით უნაგირას პირველი გუშაგის ძირში, შემოვუარეთ სამხრეთიდან. ვძვრებით ვიწრო თაროზე, ვეშვებით მოყინულ ფილებზე, კლდეზე ჩამომჯდარები ველოდებით ყინულის ჩამოდნობას კლდეებიდან. გვიან გავედით, მივადექით ცენტრალური შხელდის აღმოსავლეთ კედელს, ნელა მივიწევთ წინ. საღამო მოახლოვებულია, როცა კედელს თავზე ვექცევით. მწვერვალზეც გავედით. მოჩანან კავკასიონის ბუმბერაზები: დიხტაუ, მიჟირგი, კოშტანტაუ, შხარა, თეთნულდი, იალბუზი, უშბა...

20 აგვისტო. ცენტრალური შხელდა აღებულია.

21 აგვისტო. დილაადრიანად დავიწყეთ დაშვება. 20-30 მეტრის გავლის შემდეგ მესამე შხელდის უნაგირიდან მთამსვლელების ხმა შემოგვესმა. დავინახეთ, რომ ყაბარდო-ბალყარეთის მთამსვლელთა ჯგუფი ჩრდილო ფერდობით ბაქსანის ხეობისაკენ ეშვებოდა. მოძრაობა შევაჩერეთ, რათა მათთვის ქვები არ დაგვეყარა. ვჭრით



ა. ივანიშვილი

უნაგირას ქვევით თოვლიან კულუარს, ავდივართ ისევ ზევით, ვერტიკალურად აზიდულ კლდეებზე, კლდოვან ბუხარში ახოხებით საღამოს 5 საათზე მესამე დასავლეთ შხელდაზე ვართ.

22 აგვისტო. თოვლიან-ყინულიანი ქედი. საფეხურებს ვჭრით, ვიცავთ ერთმანეთს და ასე მივიწევთ წინ. გადავიარეთ ქედზე აღმართული მწვერვალი „მეცნიერება".

23 აგვისტო. თბილი ღამე იყო. დილით დაბერა ცივმა ქარმა და მთლიანად ნისლით დაგვფარა. ამინდი ძლიერ გამოიცვალა, საჭირო გახდა სწრაფად აგვეშალა კარვები და გვემოძრავა, რომ უკანასკნელ დღეს ჩვენთვის გზა არ გადაეღობა ცუდ ამინდს. ნისლსა და თოვაში დავძლიეთ მეორე დასავლეთი შხელდის კლდეები, დავეშვით პირველი შხელდის უნაგირაზე, დღის სამ საათზე მივაღწიეთ პროფკავშირების სახელობის მწვერვალს. ამით დავამთავრეთ მწვერვალთა სამყაროსთან 20-დღიანი ჭიდილი და დავეშვით შხელდის მყინვარით „მწვანე სასტუმროში".

დ. ოზბოლაძე

* * *

ზედა სურათზე პუნქტირებით ნაჩვენებია ტრავერსის მიმართულება, დროშებით — ღამისთევის ადგილები.

ფოტო ვ. გაბელაშვილისა.



...კვაშაძე ი. ბერუაშვილი

## „კოლმეურნის" პირველობაზე

[illegible] ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრება სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკურ პირველობაზე. შეჯიბრების მონაწილე 32 გუნდი დაყოფილ იქნა 8 ზონად (4 გუნდი თვითეულში), ხოლო ზონებში გამარჯვებული გუნდები ქმნიდნენ 2 ქვეჯგუფს.

პირველ ქვეჯგუფში გავიდნენ ხობის „კოლხეთი", გურჯაანის, სოხუმისა და ბოგდანოვკის საკოლმეურნეო გუნდები, ხოლო მეორე ქვეჯგუფში — მახარაძის „სიხარული", ქობულეთის „შუქურა", ლანჩხუთის „გურია" და ზუგდიდის „ოდიში".

საინტერესო ბრძოლის შემდეგ პირველ ქვეჯგუფში გაიმარჯვეს ხობის „კოლხეთის" ფეხბურთელებმა, ხოლო მეორე ადგილზე გამოვიდა გურჯაანის გუნდი. მეორე ქვეჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა ქობულეთის „შუქურა". მეორე ადგილზეა „ოდიში" (ზუგდიდი).

ამ გუნდების ფინალური ტურნირი გაიმართა ზუგდიდში, სადაც ქულათა თანაბარი რაოდენობა (4) დააგროვეს ქობულეთის „შუქურამ", ზუგდიდის „ოდიშმა" და გურჯაანის გუნდმა.

აღნიშნული კოლექტივები სპორტსაზოგადოების ჩემპიონის წოდებას გაითამაშებენ ქობულეთში 5-8 ოქტომბერს.

გ. ხოშტარია

## მ. ტალის გამარჯვება

ბლედის ტურნირის დასკვნითმა, XIX ტურმა სპორტული საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან მას უნდა გამოერკვია, ვინ იქნება პირველი და ვის დარჩება III ადგილი. ყურადღების ცენტრში იყო ოთხი პარტია: ტალი-ნაიდორფი, ივკოვი-ფიშერი, პეტროსიანი-გლიგორიჩი და კერესი-დონერი.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, პეტროსიანმა მოუგო გლიგორიჩს, ხოლო კერესმა — დონერს, ამით გაირკვა III ადგილის ბედი. იგი 12,5 ქულით (თვითეულს) გაიყვეს პეტროსიანმა, კერესმა და გლიგორიჩმა. მაგრამ ლიდერთა პარტიები გადაიდო.

გუშინ დილით გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. ტალმა შეძლო უპირატესობის გამოყენება და გაიმარჯვა—14,5 ქულით დაიკავა I ადგილი, ხოლო ფიშერმა ყაიმით დაამთავრა პარტია და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა — 13,5 ქულით.

ასე დასრულდა ტურნირი, მაგრამ მსჯელობა მის გარშემო მხოლოდ დაიწყო, ვინაიდან შეჯიბრებამ ბლედში ბევრი რამ ახლებურად დაგვანახა. პირველ რიგში ეს შეეხება ბლედში გამარჯვებულთა ექვსეულის მონაწილეობას, როგორც პრეტენდენტთა, ისე საზონათშორისო ტურნირში. ეჭვი არაა, რომ ფიშერი, პეტროსიანი და გლიგორიჩი მოხვდებიან პრეტენდენტთა ტურნირში. ისინი საუცხოო ფორმაში იმყოფებიან. გელერის თამაში ეჭვს იწვევს. საზონათშორისო ტურნირს (1962 წ. იანვარი) მალე მოჰყვება პრეტენდენტების შეჯიბრება (1962 წ. აპრილი). ამიტომ ყველაზე უფრო საინტერესოა ვინ იქნება პრეტენდენტებს შორის პირველი? ბევრს არ გაუმართლდა ის პროგნოზი, რომ მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვის შემდეგ ტალი დეპრესიას განიცდიდა. თვით ბოტვინიკს სჯერა მისი, ხოლო ახალი დიდი გამარჯვება მეტყველებს მსოფლიო ჩემპიონის პოტენციურ ძალაზე. ტალმა ყველაზე მეტი (11) პარტია მოიგო. მისი დამარცხება ფიშერთან ბევრს არაფერს ნიშნავს. სამაგიეროდ, ამერიკელის 3,5 ქულა ოთხ საბჭოთა გროსმაისტერთან ბევრის მთქმელია. ფიშერი „დაჭკვიანდა", გამოიბრძმედა, როგორც მოჭადრაკე და სატურნირო მებრძოლი. მან ხომ ერთადერთმა განვლო შეჯიბრება წაუგებლად. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ფიშერის პარტიების ხარისხიც მაღალია. ერთი სიტყვით, ფიშერი მეტად სერიოზული პრეტენდენტია მსოფლიო ჩემპიონობაზე.

პეტროსიანს კვლავ აკლდა სიმჭიდროვე(?), სიმძაფრე, ხოლო კერესს — სიმტკიცე, მაგრამ პრეტენდენტთა ტურნირში პეტროსიანი და კერესი შეძლებენ გამოავლინონ თავიანთი მაქსიმუმი. გლიგორიჩის წარმატება სავსებით დამსახურებულია. უცხოეთში ფიშერის შემდეგ იგი ყველაზე დიდი საჭადრაკო ფიგურაა.

ბლედის ტურნირმა გაამართლა თავისი დანიშნულება. თვეზე მეტი ხნის მანძილზე ჭადრაკის მოყვარულები ტკბებოდნენ უძლიერესთა ბრძოლით, ხოლო საჭადრაკო ხელოვნებამ ბევრი ღრმა საჭადრაკო ნაწარმოები მიიღო.

თ. გიორგაძე

## „ავანგარდის" ტრეკზე

**სიმფეროპოლი.** (ტელეგრაფით). აქ დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება ველოსპორტში, რომელშიც მონაწილეობდნენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა უძლიერესი ველოსიპედისტები. შეჯიბრებაში წარმატებით გამოვიდნენ არმიელი სპორტსმენები, რომლებმაც გაიმარჯვეს პროგრამის უმეტეს სახეობაში და გუნდურ ჩათვლაშიც გაინაღდეს მთავარი ჯილდო — სსრ კავშირის თასი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ „ბურევესტნიკის", ხოლო მესამეზე — „დინამოს" წარმომადგენლები.

შეჯიბრების მსვლელობაში ველორბოლის ორ სახეობაში (ქალების ჯგუფურ რბოლაში 50 წრეზე და წყვილთა რბოლაში 150 წრეზე) გათამაშდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები. ქალთა ჯგუფური რბოლა მოიგო ნ. კოშელევამ, ხოლო წყვილთა შეჯიბრება ე. შესტაკოვმა და ვ. კატენკომ.

# დიდი შეჯიბრება გრძელდება

(დასასრული)

ბულმა შეჯიბრება ასეთი შედეგებით დაამთავრეს — ვ. არხიპჩუკი — 47,0, ე. არაქელიანი — 47,2, ვ. რახმანოვი — 47,4.

✦

## წამის მეათედებთან ბრძოლაში

მძლეოსნობა თუ „სპორტის დედოფალია", სპრინტი უკვე კარგა ხანია, რაც მის უმაღლეს გვირგვინად დამკვიდრდა. ამიტომაა რომ მაყურებლებს ყველაზე მეტად იზიდავს სპრინტერთა ბრძოლა.

ამჯერად ქალთა 100-მეტრიანი დისტანციის სტარტზე სახელგანთქმულ მ. იტკინასთან ერთად გამოვიდა „ვ. ბრუმელი № 2" ქალთა შორის, ტ. შჩელკანოვა — მსოფლიოს რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში. ამ პოპულარულ სპორტსმენთა შორის უნდა განაწილებულიყო ყველაზე დიდი და ძვირფასი პრიზი — ოქროს მედალი.

ლიდერი ამ ბრძოლაში არ იყო მარტო. მას კვალდაკვალ მოსდევდა ტ. შჩელკანოვა, რომლის ენერგიული და მძლავრი ნაბიჯი კარგს არაფერს უქადდა წინწასულს. მაგრამ სპრინტი იმიტომ არის სპრინტი, რომ იგი 100 მეტრის შემდეგ მთავრდება. ტ. შჩელკანოვას აღარ ეყო მანძილი და მისმა მძლავრმა ფინიშმა, მხოლოდ მ. იტკინას ზურგს მიუსწრო. გამარჯვებულმა აჩვენა შესანიშნავი შედეგი — 11,4, ხოლო მეორე ადგილზე გამოსულმა — 0,2 წამით უარესი.

მაგრამ მთავარი ბრძოლა მაინც უკან იყო, სადაც წყდებოდა მესამე საპრიზო ადგილის და ბრინჯაოს მედლის ბედი. აქ საჭირო გახდა ტექნიკის ხელსაწყოთა დახმარება (ფოტო ფინიში) რომელმაც თვალით დაუნახავი უპირატესობით მესამე ადგილი გ. რეზჩიკოვას მიანიჭა — 11,7. ასეთი შედეგი ჰქონდა მესამე საპრიზო ადგილის კიდევ ერთ პრეტენდენტს ლ. იანშინას, რომელიც ბოლოსდაბოლოს მეოთხე ადგილზე დარჩა.

10,3 წამი! რამდენი წელია რაც ჩვენი წამყვანი სპრინტერები (ვაჟები) ებრძვიან ამ „საბედისწერო" შედეგს. რამდენი სახელგანთქმული სპრინტერი „შეიწირა" რეკორდმა, რომელიც ათეული წლის წინ დაამყარა მოსკოველმა ვ. სუხარევმა. დიდ იმედებს ამყარებდნენ მიმდინარე ჩემპიონატზეც, მაგრამ ბებერი რეკორდი ფესვმაგარი გამოდგა.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი 100 მეტრზე რბენაში ვაჟთა შორის მოიპოვა ე. ოზოლინმა. მისი შედეგი 10,5 არ არის დამაკმაყოფილებელი ისეთი დიდი ტურნირისათვის, როგორიცაა საკავშირო ჩემპიონატი. ორი მომდევნო ადგილი დაისაკუთრეს ს. პროხოროვსკიმ და ნ. პოლიტიკომ.

✦

## გადროს სატყორცნ წრეში

სხვადასხვა მიზანი ჰქონდათ დასახული ბადროს ტყორცნაში საკავშირო პირველობის მონაწილე ქალებს. მსოფლიო რეკორდსმენს ლენინგრადელ თ. პრესს, რომელმაც ჯერ კიდევ რომში „დაუსწრებლად" წაართვა რეკორდი ნ. დუმბაძეს, აქ სურდა დაემტკიცებინა თავისი სიძლიერე და გადაელახა 59-მეტრიანი ზღვარი, სხვების ზრუნვის საგანს შეადგენდა როგორმე დაემარცხებინათ მათის აზრით მეორე ადგილის აღიარებული პრეტენდენტი ლ. ტულუში. მონაწილეთა მესამე ჯგუფი კი ოცნებობდა ბადრო გადაეგდო 44 მეტრს იქით და როგორმე ჩათვლა მიეცათ გუნდისათვის.

შეჯიბრება ისე დაიწყო, და მონაწილეთაგან არავის ჰქონდა სამდურავის გამოთქმის საშუალება — ყველაფერი სურვილის მიხედვით მიდიოდა, მხოლოდ ქ. კახიშვილს არ გაუმართლა. წინასწარ შეჯიბრებაში მისი საუკეთესო მაჩვენებელი არ გაცილებია 40,43-ს და გუნდმა კვლავ „0" მიიღო. „კედლებმა" დახმარება ვერ გაუწიეს ლ. ტულუშსაც. ერთ-ერთ ცდაზე მის მიერ ნატყორცნი ბადრო დაეცა 46,07 მ-ზე. ამრიგად ტულუში გამოაკლდა არა მარტო საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლთა რიგებს, არამედ ფინალშიც ვერ მოხვდა. უფრო ძლიერად ჩაატარა წინასწარი შეხვედრები ი. მხეიძემ — 47.18 მ და სხვა 11 მონაწილესთან ერთად მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება, თ. პრესმა ერთ-ერთ ცდაზე აჩვენა 58 მ 53 სმ.

ბრძოლა გაგრძელდა საღამოს. ძირითადი შეჯიბრების დროს კიდევ 6 სპორტსმენს უღალატეს ნერვებმა, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელს ი. მხეიძესაც და ოქროს მედლისათვის მებრძოლთა რიგებს შემორჩა 6 უძლიერესი უძლიერესთა შორის.

სამჯერ ტყორცნა ბადრო თ. პრესმა, სამჯერვე 52 მეტრს იქით (56.20, 54.27; 52.58), მაგრამ მსოფლიო რეკორდი — 58 მ და 98 სმ. მიუწვდომელი აღმოჩნდა ამჯერადაც. სამაგიეროდ არავის დაუთმო ჩემპიონობა — 56.62 მ.

ვერცხლის მედალი დარჩა თ. პრესის თანაგუნდელს ა. ზოლოტუხინას (ლენინგრადი I) — 51.53 მ. უკრაინელმა ა. ელკინამ ძირითად შეჯიბრებაზე აჩვენა 49.61 მ და ფეხის დაზიანების გამო ფინალში აღარ გამოსულა. მაგრამ „ბედმა შეიწყალა"—ფინალში ველარავინ გადაასწრო და მესამე ადგილიც მას დარჩა.



ეს სურათი შეჯიბრების პირველ დღეს გადაიღო ჩვენმა ფოტორეპორტიორმა მ. ზარგარიანმა. წინასწარ შეხვედრებში განცდილი მარცხის შემდეგ რ. შავლაყაძეს ისღა დარჩენოდა, რომ მთელი ყურადღება აღსაზრდელის — თ. მდივნის გამოსვლებისათვის დაეთმო. თ. მდივანმა გაამართლა იმედი. მან ფინალში დაძლია 203 სმ და დაამყარა პირადი რეკორდი. ეს დღე იყო რ. შავლაყაძის, როგორც მწვრთნელის, გამარჯვების დღე. აი, როგორი სიამოვნებით საუბრობენ მწვრთნელი და აღსაზრდელი, ორივე კმაყოფილია, მიმდინარე სეზონის შედეგებით.

# პრაღის „სლავიას" ორი მატჩი

თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ქალთა გუნდმა გუშინწინ, სპორტის სასახლეში მიიღო ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი უძლიერესი საკლუბო გუნდი — პრაღის „სლავია". შეხვედრა ორივე გუნდმა ძირითადი, საბრძოლო შემადგენლობით დაიწყო და თავიდანვე აშკარა გახდა სტუმრების უპირატესობა. განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა თბილისელთა ფარქვეშ ჩეხოსლოვაკიის ეროვნული ნაკრების წევრი რ. ბროუკოვა. შეხვედრის პირველ ნახევარში იგი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო სტუმრების გუნდში.

თბილისელებმა დიდხანს ვერაფერი გააწყვეს „სლავიას" ზონალური დაცვის წინააღმდეგ, სტუმრები კი პირიქით, შედარებით იოლად არღვევდნენ მასპინძელთა „ზონას". ტაიმის დასასრულს „ბურევესტნიკმა" საგრძნობლად გაზარდა ტემპი და ხელთ იგდო ინიციატივა. ამ დროისათვის ჩეხები წინ იყვნენ 13 ქულით (26:13). ორ მომდევნო წუთში თბილისელებმა აიღეს 10 ქულა და ანგარიში გახდა 26:23. ბრძოლამ მიიღო შედარებით მშვიდი ხასიათი. პირველი ნახევარი დამთავრდა ანგარიშით 31:25 სტუმრების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში „ბურევესტნიკის" შეტევები გახდა უფრო მწვავე, აგრესული. სტუმრების გუნდში რ. ბროუკოვას გარდა ნაყოფიერად მოქმედებდნენ თავდასხმაში ი. შულცოვა და ა. დოლეიშევა. ბოლოსდაბოლოს შორიდან სროლა გაბედა ნ. ჯაფარიძემ. მთელი ძალით ამუშავდნენ თბილისელთა ცენტრალური თავდამსხმელები ც. ჯანელიძე და ვ. იურიევა. ბრძოლამ უაღრესად მძაფრი ფორმები მიიღო.

მე-14 წუთზე ბურევესტნიკელმა კაკაბაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი 48:47. მაგრამ ჩეხებმა საპასუხო კონტრშეტევით კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა. მატჩის ბედი ფაქტიურად უკანასკნელ წუთზე გადაწყდა. თბილისელი კალათბურთელები წინ იყვნენ ორი ქულით — 56:54, როდესაც ი. შულცევამ ფარქვეშიდან გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და ანგარიში კიდევ ერთხელ გაათანაბრა — 56:56.

გუშინ სტუმრების წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის ნაკრები გუნდი, შეხვედრა ამჯერად მოიგეს მასპინძლებმა — 53:47.



# სტუმრები ავღანეთიდან

თბილისში საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად ჩამოსულ ავღანელ ჩოგბურთელებს განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევიათ სპორტის ამ სახეობის გულშემატკივრებში.

ამ ფაქტს თავისებური გამართლება აქვს: ჩვენს სტუმრებს არც საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აქვთ და არც ჩოგბურთის თამაშის მდიდარი ტრადიციები. სპორტის ამ შესანიშნავმა სახეობამ მხოლოდ უკანასკნელ წლებში მოიკიდა ფეხი ავღანეთში და ჯერჯერობით მხოლოდ არისტოკრატული წრეების გასართობს წარმოადგენს. თბილისში ჩამოსული სტუმრებიც სწორედ სამეფო კართან დაახლოვებულ პირებს წარმოადგენენ.

ავღანელი სპორტსმენები ჩვენთან გამარჯვების მოპოვების იმედით არ ჩამოსულან. მათი მიზანი იყო ჩოგბურთის თანამედროვე კლასის შესწავლა და საერთაშორისო შეხვედრებში მონაწილეობის მიღება.

საქართველოში ჩამოსვლამდე ავღანელებმა თავიანთი პირველი საერთაშორისო შეხვედრა ერევანში ჩაატარეს და, როგორც მოსალოდნელი იყო, დამარცხდნენ კიდეც — 0:7.

სტუმრებს არც თბილისის „დინამოს" კორტებზე გამართულმა შეჯიბრებამ მოუტანა წარმატება. ქართველი ჩოგბურთელები მთელი თავით მაღლა იდგნენ მოწინააღმდეგეებზე. ავღანელებმა მასპინძლებს ვერც ერთეულთა და ვერც წყვილთა შეხვედრებში ვერ გაუწიეს სერიოზული წინააღმდეგობა. საქართველოს ნაკრებმა მატჩი „მშრალი" ანგარიშით მოიგო — 7:0. გუშინ სტუმრები შეხვდნენ საქართველოს ჭაბუკ ჩოგბურთელებს.

ამავე დღეს „დინამოს" კორტები თბილისელ სპორტის მოყვარულთა ყურადღების ორბიტში მოექცა: დაიწყო დიდი შეჯიბრება — საერთაშორისო ტურნირი უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთისა და საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა მონაწილეობით, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდება

გ. სამსონაძე



სურათებზე: მარცხნივ — საქართველოს (თეთრ ფორმაში) და ავღანეთის ჩოგბურთელები მონაწილეთა პარადზე: მარჯვნივ—სტუმრების ყველაზე შედეგიანი მოთამაშე ნიზამედინ მაჰმუდ ლოზი.

ფოტო თ. გრიგორიშვილისა.

## განდევნეს ფედერაციიდან

ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მდივანმა ამას წინათ ლონდონში ოფიციალურად განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირის ფეხბურთის ფედერაცია გარიცხულ იქნა ფიფა-ს წევრობიდან, ვინაიდან იგი ხელს უწყობდა თავაშვებულ რასობრივ დისკრიმინაციას თავის ქვეყანაში და ამის თაობაზე არაერთხელ იყო გაფრთხილებული.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01155